საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლავრენტი მაღლაკელიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი ი. გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ლავრენტი მაღლაკელიძის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. რეკომენდატორები ლავრენტი მაღლაკელიძეს ახასიათებენ როგორც პატიოსან, შრომისმოყვარე, საქმისადმი ერთგულ, კეთილსინდისიერ და პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებას. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატი გამოირჩევა სხვებისადმი ღირსეული და თავაზიანი მოპყრობით. ასევე, კოლეგა მიუთითებს, რომ კანდიდატი ხასიათდება პიროვნული და აკადემიური კეთილსინდისიერებით, პროფესიული გულისხმიერებითა და სინდისის გრძნობით.

ლავრენტი მაღლაკელიძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, კანდიდატს ადმინისტრაციული სახდელი არ დაკისრებია.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით ლავრენტი მაღლაკელიძე დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი პიროვნებაა. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ მიუხედავად საქმის რეზონანსულობისა თუ სასამართლო პროცესისადმი საზოგადოების მომეტებული ყურადღებისა, იგი

ახერხებს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, რათა საქმე მიუკერძოებლად განსაჯოს და მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება.

ლავრენტი მაღლაკელიძე არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ლავრენტი მაღლაკელიძე არის გაწონასწორებული, მობილიზებული, ტაქტიანი, კომუნიკაბელური და კოლეგიალური პიროვნება. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატის ქცევას ახასიათებს ზომიერება, სიმშვიდე, რაც მიანიშნებს ხასიათის სიმტკიცეზე და საკუთარი თავის ფლობის უნარზე.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ ლავრენტი მაღლაკელიძის მიმართ დისციპლინური ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. იგი არ ყოფილა წარმოდგენილი სასამართლო დავაში მხარედ ან დაზარალებულად.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - რეკომენდატორები, კოლეგა მოსამართლეები, აკადემიური წრის წარმომადგენლები ლავრენტი მაღლაკელიძეს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად და აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სარგებლობს პატივისცემით როგორც საუნივერსიტეტო, ისე ზოგადად პროფესიულ საზოგადოებაში, რაც მისი პიროვნული თვისებების დამსახურებაა.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება.

ლავრენტი მაღლაკელიძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა,

ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: ლავრენტი მაღლაკელიძემ საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო სამართლის ცოდნა. კანდიდატმა ისაუბრა დანაშაულის პროვოცირებაზე, მის მატერიალურ და პროცესუალურ მხარეზე. ლავრენტი მაღლაკელიძე შეეხო ოჯახში ძალადობის საქმეთა სირთულეებს, კერძოდ, დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევებს. კანდიდატმა იმსჯელა სიცოცხლის უფლებაზე ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ფარგლებში. ნაკლოვანებად მიმაჩნია, რომ განაჩენში მოყვანილი ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები კანდიდატმა ზეპირ გასაუბრებაზე ვერ გაიხსენა.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული განაჩენები, რომლის გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს. საჯარო მოსმენის პროცესიდან ირკვევა, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე აქტიურად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებსა თუ სასამართლო პრაქტიკას. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, კანდიდატი ფლობს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს არა მხოლოდ სისხლის, არამედ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებითაც.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ განაჩენებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. თუმცა ნაკლოვანებად უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევაში განაჩენებში მითითებულია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც რელევანტური არ არის მოცემულ საქმეებთან, არის შაბლონური ხასიათის. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ ლავრენტი მაღლაკელიძის მიერ მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილება ქრესტომათიული ხასიათისაა, რომლებიც ისწავლება როგორც სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, ასევე, ხშირად განიხილება

სამეცნიერო კონფერენციების ფორმატში. რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ დასაბუთების მაღალი სტანდარტით გამოირჩევა მის მიერ *contra legem* ინტერპრეტაციით მიღებული გადაწყვეტილებები, მათში მოყვანილი არგუმენტაცია პოზიტიურ-სამართლებრივად, ისევე როგორც აქსიოლოგიური თვალსაზრისით იურიდიული ტექნიკის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს.

საყურადღებოა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმადაც ლავრენტი მაღლაკელიძის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი შეადგენს 98.5%-ს.

საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე საუბრისას გამოავლინა სამართლებრივი დასაბუთებისა და აზრის ლოგიკურად ფორმირების უნარი. კანდიდატმა იმსჯელა სისხლის სამართლის პროცესის სახეებზე, ისაუბრა ინკვიზიციურ, შეჯიბრებით და შერეული პროცესების დადებით და უარყოფით მხარეებზე. კანდიდატი უპირატესობას ანიჭებს შერეულ პროცესს, რომელიც ფორმით შეჯიბრებითია, თუმცა მოსამართლეს სჭირდება დამაზუსტებელი კითხვების დასმა მხარეთა შეთანხმების გარეშე. კანდიდატმა იმსჯელა სიტუაციურ მაგალითზეც (კაზუსზე) და განმარტა, რომ თუ საქმის არსებითი განხილვისას მისთვის დოკუმენტებიდან სარწმუნო ხდება ის ფაქტი, რომ ბრალდებული პირი დანაშაულის ჩადენის დროს არ იყო სისხლის სამართლის სუბიექტი ასაკის გამო, ის შეწყვეტს საქმის წარმოებას მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულზე მხარეები არ მიუთითებდნენ. კანდიდატმა საკუთარი მსჯელობა გაამყარა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით.

წერის უნარი: ლავრენტი მაღლაკელიძემ წარმოადგინა 6 სამართლებრივი ნაშრომი, მათ შორის 2 სასამართლო განაჩენი და 4 სამეცნიერო თუ სხვა სახის პუბლიკაცია. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად. ლავრენტი მაღლაკელიძის წერის სტილი აკადემიურია. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ ლავრენტი მაღლაკელიძის წერილობითი ნამუშევრები გამოირჩევა სტილით, აკადემიურობით, სტრუქტურით. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, კანდიდატი ფლობს გადაწყვეტილების წერის კულტურას და შესაბამის უნარ-ჩვევებს.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციის, გამართულად და ნათლად მეტყველების უნარი. კანდიდატს

შეუძლია სხვისი განსხვავებული აზრის მოსმენა, თუმცა კრიტიკულ კითხვებზე პასუხების გაცემისას მას ემჩნეოდა ერთგვარი გაღიზიანება. კანდიდატი საუბრობს გაწონასწორებულად, აზრს გადმოცემს ნათლად და მკაფიოდ. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე სტრუქტურულად და ლაკონიურად გადმოსცემს აზრს. ერთ-ერთი რეკომენდატორი მიუთითებს, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე გამოირჩევა აკადემიურობის მაღალი ხარისხით, რაც აისახება მის საჯარო გამოსვლებსა თუ ლექციებზე.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ლავრენტი მაღლაკელიძეს კარგად აქვს განვითარებული აზრის ზეპირად გადმოცემის უნარი.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ლავრენტი მაღლაკელიძეს ახასიათებენ როგორც აკადემიურად პატიოსან, გულისხმიერ და პროდუქტიულ პიროვნებას, რომელიც კარგად ფლობს დროის სწორად განაწილების უნარებს. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ლავრენტი მაღლაკელიძე კარგად წარმართავს პროცესს, სათანადოდ ფლობს საპროცესო უნარ-ჩვევებს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ლავრენტი მაღლაკელიძეს საანგარიშო პერიოდში (1010 დღე) დასრულებული აქვს 645 საქმე, დღეში საშუალოდ 0.6 საქმემდე. ასევე, კანდიდატის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 100%-ს აღწევს, რაც საერთო ჯამში მეტყველებს კანდიდატის შრომისმოყვარეობასა და ორგანიზებულობაზე.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში. ლავრენტი მაღლაკელიძე სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში. მას გავლილი აქვს სტაჟირება ბონში გერმანული სასწავლო სისტემის მოწყობისა და მუშაობის წესის შესახებ. კანდიდატი მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციაში - „თანამედროვე სისხლის სამართლის იუსტიციის პრობლემები", რომელიც გაიმართა ჰუმბოლტის სახელობის უნივერსიტეტში (გერმანია).

კანდიდატს პროექტის მონაწილისა და სამეცნიერო თანამშრომლის სახით მონაწილეობა აქვს მიღებული 3 სამეცნიერო-საგრანტო კონკურსში.

2013 წელს, ლავრენტი მაღლაკელიძეს მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. კანდიდატი 2019 წლიდან იკავებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობას.

ლავრენტი მაღლაკელიძე იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის XII ჯგუფის მსმენელი (2016წ.), მან იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 55-ე ადგილი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ლავრენტი მაღლაკელიძე ეწევა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. კანდიდატი არაერთ უნივერსიტეტში უძღვება სალექციო კურსებს. ლავრენტი მაღლაკელიძე არის 11 სამეცნიერო სტატიის და 1 მონოგრაფიის ავტორი, ასევე 2 სახელმძღვანელოსა და 1 კრებულის სამეცნიერო რედაქტორი.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. ლავრენტი მაღლაკელიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 90 ქულით, კერძოდ:
   2.1. სამართლის ნორმების ცოდნა - 18 ქულა;
   2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 18 ქულა;
   2.3. წერის უნარი -18 ქულა:
   2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 13 ქულა;
   2.5. პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 13 ქულა;
   2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;
   2.7. პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28. 05. 2021